



სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მშვიდობიან  
ტრანსფორმაციაზე საერთაშორისო  
მხარდაჭერის გავლენის აღქმა:  
ხედვა თბილისიდან

PERCEPTION OF THE IMPACT OF INTERNATIONAL  
SUPPORT ON PEACEFUL TRANSFORMATION OF  
CONFLICTS IN THE SOUTH CAUCASUS:  
VIEW FROM TBILISI

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი

კავკასიური  
სახლი



THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS

CAUCASIAN  
HOUSE



საერთაშორისო ინსტიტუტი ეროვნული კონფლიქტების შესწავლის  
ინსტიტუტი FOR THE STUDY OF NATIONALISM AND CONFLICTS



2017

**სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების  
მშვიდობიან ტრანსფორმაციაზე საერთაშორისო  
მხარდაჭერის გავლენის აღქმა:  
ხედვა თბილისიდან**

**ნანა კალანდარიშვილი**

2017

თქვენს წინაშეა კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციაზე საერთაშორისო მხარდაჭერის გავლენების შესახებ ქართულ საზოგადოებაში არსებული აღქმებისა და შეფასებების შესახებ ჩატარებული კვლევა. ამ მასალის საფუძველზე შექმნილი მოხსენება ნაკითხული იყო 2017 წ. 10-12 თებერვალს მინსკში, ბელარუსი, ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე.

პუბლიკაცია მომზადებულია რეგიონული პროექტის „მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ახალი არქიტექტურის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორს და არ ასახავს გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ოფიციალურ პოზიციებს.

**ავტორი:** ნანა კალანდარიშვილი

**რედაქტორი:** გიორგი კანაშვილი

**თარგმანი:** ნათია ნადირაძე

**დიზაინი:** ქეით გაბრისი

**ტირაჟი:** 150

**ISBN 978-9941-9510-3-9**

# შინაარსი

შესავალი.....	4
კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია.....	6
<b>ნაწილი I – კონფლიქტებზე მუშაობის 23-წლიანი გამოცდილება .....</b>	<b>7</b>
პოლიტიკური მხარდაჭერა .....	7
არასამთავრობო სექტორისათვის აღმოჩენილი მხარდაჭერა.....	10
სამოქალაქო დიალოგების ფორმატები .....	10
პიროვნებების როლი საერთაშორისო მხარდაჭერაში.....	12
<b>ნაწილი II – არსებული პრობლემები.....</b>	<b>13</b>
„ჩაკეტილი წრე“ .....	13
ვინ განსაზღვრავს პრიორიტეტებს? .....	16
<b>დამატებითი დაკვირვებები.....</b>	<b>17</b>
<b>დასკვნა .....</b>	<b>17</b>

## შესავალი

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში და მისი დაშლის შემდგომ მასში შემავალ სუბიექტებს მრავალ მიმე პრობლემასთან მოუხდათ გამკლავება. სახელმწიფოებრიობის გამოცდილების არმქონე ქვეყნები, ბუნებრივია, ვერ პასუხობდნენ იმ გამოწვევებს, რომლებიც მათ წინაშე აღმოჩნდა. ამავე დროს არც საერთაშორისო საზოგადოებას გააჩნდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წარმოქმნილ ქვეყნებთან ურთიერთობის რაიმე მკაფიო ხედვა. „ცენტრის“ დახმარებას მიჩვეული ახლად აღმოცენებული სახელმწიფოების დედაქალაქები დიდი ხნის მანძილზე პირველად დადგნენ გადანყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და მის შედეგებთან გამკლავების წინაშე. საქართველოში, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში, არარსებულმა/სუსტმა პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა, განუვითარებელმა სამოქალაქო ცნობიერებამ, ეკონომიკურმა კრიზისმა და ა.შ. შექმნა სახელმწიფოებრიობის კრიზისი. ყოველივე ამან კიდევ უფრო გააძლიერა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში არსებული ნაციონალისტური განწყობები და ხელი შეუწყო ქვეყნის ტერიტორიაზე ეთნიკური კონფლიქტების გაღრმავებასა და ესკალაციას.

დასავლურ სამყაროში ამ დროს „ისტორიის დასასრულსა“ და ლიბერალური იდეოლოგიის კომუნისტურზე გამარჯვებას აღნიშნავდნენ. ამავდროულად, მათი ყურადღება სხვა კონფლიქტებისკენ უფრო იყო მიმართული, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკური დაპირისპირებისკენ.<sup>1</sup> თუმცა სწორედ ცივი ომის დამთავრების შემდეგ, 1992 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო გენერალური მდივნის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტი „მშვიდობის ხელშეწყობის გეგმა: პრევენციული დიპლომატია, მშვიდობის კეთება და მშვიდობის შენარჩუნება“ (Agenda for Peace: Preventive diplomacy, peacemaking and peace-keeping ე.წ. ბუტროს ბუტროს-გალის გეგმა), რომელმაც ცივი ომის შემდგომ სამყაროში თანამედროვე კონფლიქტებთან გამკლავების გზებს პოსტკონფლიქტური მშვიდობის მშენებლობის (post-conflict peacebuilding) ცნება დაამატა. ეს მიდგომა კი გულისხმობს იმ სტრუქტურების იდენტიფიკაციასა და მხარდაჭერას, რომლებსაც შეუძლიათ, მშვიდობის გამყარება და კონფლიქტის ხელახალი ესკალაციის თავიდან აცილება.<sup>2</sup> სწორედ ეს კონცეფცია დაედო საფუძვლად განვითარებული სამყაროს კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და მოგვარების თანამედროვე ძალისხმევას.

მშვიდობის მშენებლობის ეს კონცეფცია, რომელსაც ხშირად „ლიბერალური მშვიდობის მშენებლობის“ სახელით მოიხსენიებენ, მისი თითქმის 25-წლიანი ისტორიის განმავლობაში ხშირად გამხდარა ანალიტიკოსებისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლების კრიტიკის საგანი. მისი მოწინააღმდეგეები ხშირად მას „თანამედროვე კოლონიალიზმს“ უწოდებენ, მიიჩნევენ რა, რომ დასავლეთი კონფლიქტის მხარეებს საკუთრივ მისთვის მისაღები და ნაცნობი მზა რეცეპტებით სთავაზობს პრობლემების მოგვარებას და მხარეები კი, რომლებიც ძირითადად „მდიდარი დასავლეთის“ ფინანსურ მხარდაჭერაზე არიან დამოკიდებულნი, თანხმდებიან ამგვარ პირობებს. სწორედ ამას აბრალებენ მშვიდობის მშენებლობის არსებული პრაქტიკის კრიტიკოსები თანამედროვე სამყაროში კონფლიქტების საბოლოოდ მოგვარების მაგალითების ნაკლებობას.<sup>3</sup>

<sup>1</sup> მაგალითად, კამბოჯაში და/ან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიმდინარე მოვლენები.

<sup>2</sup> Report of the UN Secretary-General: "Agenda for Peace", Boutros Boutros-Ghali, Published June 17, 1992

<sup>3</sup> Jan Selby (2013): *The myth of liberal peace-building*, Conflict, Security & Development, 13:1, 57-86

---

მშვიდობის მშენებლობის პროცესის არსებული პრაქტიკა კიდევ დიდხანს იქნება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების კამათის თემა. ამ საკითხზე მიმდინარე თეორიული მსჯელობის ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა გამოცდილება, რომელიც კონფლიქტებზე მომუშავე აქტორებს აქვთ ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც კონფლიქტები და მათი მოგვარების გზების ძიება სწორედ ამ მიდგომების განვითარებასა და პრაქტიკაში გატარებას დაემთხვა.

## კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, შეისწავლოს ის განწყობები და აღქმები, რომლებიც საქართველოში კონფლიქტებზე მომუშავე აქტორებს გააჩნიათ სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის მიღებული საერთაშორისო დახმარების მიმართ; გააანალიზოს ის მიღწევები, რომლებიც საქართველოს მიერ უკანასკნელი 23 წლის განმავლობაში მიღებული საერთაშორისო დახმარების საშუალებით აქვს; ასახოს ის პრობლემები, რომლებიც ამ სფეროში არსებობს და შეიმუშაოს სამომავლო რეკომენდაციები მიღებული დახმარების უფრო ეფექტიანად გადანაწილება/გამოყენებისათვის. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 10-მდე ჩაღრმავებული ინტერვიუ კონფლიქტზე მომუშავე სხვადასხვა აქტორთან, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ამასთანავე ჩატარდა ფოკუსჯგუფები, რომლებშიც მონაწილეობდნენ, როგორც ზემოთ აღნიშნული სამივე მიმართულების, ასევე ამ თემაზე მომუშავე მედიასაშუალებების წარმომადგენლები. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები და ფოკუსჯგუფი ეფუძნებოდა ჩეტჰემ ჰაუსის წესებს (Chatham House Rules), რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო მაქსიმალური გულწრფელობა ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე სალაპარაკოდ. ჩატარებული კვლევა ითვალისწინებს რამდენიმე სპეციფიკურ მახასიათებელს: 1) ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფის დროს არ ყოფილა დაკონკრეტებული, თუ რა იგულისხმებოდა საერთაშორისო მხარდაჭერაში და, შესაბამისად, მონაწილეები საკუთარი აღქმებიდან გამომდინარე საუბრობდნენ მასზე; 2) საქართველოში კონფლიქტებზე მომუშავე სტრუქტურებში არსებობს საკმაოდ საინტერესო გამოცდილება არასამთავრობო და სამთავრობო სექტორებს შორის ხალხის მოძრაობისა, რაც, ერთი მხრივ, ამ სფეროში მომუშავე აქტორების მრავალმხრივ გამოცდილებაზე მეტყველებს, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეულ, საკმაოდ საინტერესო სპეციფიკას სძენს მათ აღქმებს; 3) „საერთაშორისო მხარდაჭერაში“ კვლევის მონაწილეების სრული უმრავლესობის მიერ დანახული იყო „დასავლეთის ქვეყნებიდან და დასავლური ორგანიზაციებიდან მიღებული დახმარება“.

კითხვარები დაყოფილი იყო 3 ნაწილად. პირველ ნაწილში მონაწილეები საუბრობდნენ იმ გამოცდილებაზე, რომელიც საერთაშორისო მხარდაჭერის კუთხით დაგროვდა საქართველოში, იმ მიღწევებსა და სირთულეებზე, რომლებიც არსებობს ამ სფეროში. კვლევის მეორე ნაწილი ძირითადად ეხებოდა ადგილზე საჭიროებების განსაზღვრასა და საერთაშორისო აქტორებისთვის მათი მიწოდების გზებს; იმ განსხვავებაზე, რომლებიც არსებობს/არსებობდა ადგილობრივ საჭიროებებსა და მიღებულ დახმარებას შორის; ვინ განსაზღვრავს ამ პრიორიტეტებს და ვინ უნდა იყოს ამაზე პასუხისმგებელი. კვლევის დასკვნით ნაწილში მონაწილეები საუბრობდნენ იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის საერთაშორისო მხარდაჭერის გამოყენების ეფექტურობის გაზრდისთვისაა საჭირო.

აღსანიშნავია, რომ ამ კვლევაში განიხილება ქართულ-აფხაზური და ქართულ-სამხრეთოსური კონფლიქტების სპეციფიკა. ქართულ-რუსული კონფლიქტი, რომლის მოგვარების მიმართ 2008 წლის ომის შემდეგ გაზრდილია საერთაშორისო ინტერესი თუ ძალისხმევა, ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია საუბარი ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებზე მესამე, ბევრად უფრო მასშტაბური კონფლიქტის ასპექტების უგულებელყოფით, ისევე, როგორც შეუძლებელია, მხედველობაში არ იყოს მიღებული მზარდი დაპირისპირება დასავლეთის სამყაროსა და რუსეთს შორის.

# ნანილი I – კონფლიქტებზე მუშაობის 23-წლიანი გამოცდილება

საქართველოში კონფლიქტებზე მუშაობა ყოველთვის იყო და კვლავაც არის მეტწილად დამოკიდებული საერთაშორისო მხარდაჭერაზე. კონფლიქტების საბოლოო დარეგულირებაში, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორში მომუშავე ადამიანებისთვის სწორედ საზღვარგარეთიდან მიღებული დახმარება თამაშობს უდიდეს როლს. საქართველოს მიერ კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის მიღებული მხარდაჭერა ძირითადად ორი სახისაა – სახელმწიფოსათვის აღმოჩენილი პოლიტიკური და არასამთავრობო სექტორისათვის, როგორც ფინანსური, ისე შესაძლებლობების ზრდისთვის (capacity building) განუვლი დახმარება.

## პოლიტიკური მხარდაჭერა

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა საერთაშორისო აქტორების მხრიდან უკანასკნელი 23 წლის მანძილზე არ შეცვლილა, რაც პოლიტიკური მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ასპექტია. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს წევრ 4 ქვეყანას (რუსეთი, ვენესუელა, ნიკარაგუა, ნაურუ) აღიარებული ჰყავს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი კვლავ რჩება საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტებისა თუ რეზოლუციების მნიშვნელოვან ასპექტად. საერთაშორისო პოლიტიკური მხარდაჭერით შედეგანია „არაღიარების“ პოლიტიკაც. უფრო მეტიც, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მ აღიარებულთა რიცხვის შემცირებაც სწორედ დასავლეთის სახელმწიფოების მხარდაჭერის შედეგად გახდა შესაძლებელი.<sup>4</sup> გაეროში „აფხაზეთიდან, საქართველო, და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან, საქართველო, იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა სტატუსი“ რეზოლუციის მხარდამჭერთა რიცხვის წლიდან წლამდე ზრდაც სწორედ თბილისის მიმართ არსებული პოლიტიკური მხარდაჭერის ერთ-ერთი ინდიკატორია.<sup>5</sup>

გაეროში საქართველოს მიერ ინიცირებული რეზოლუციის მხარდამჭერთა რიცხვი.

წყარო: ნეტგაზეთი

წელი	მომხრე	მონინალმდევე
2008	14	11
2009	48	19
2010	50	17
2011	57	17
2012	60	15
2013	63	16
2014	69	13
2015	75	16
2016	76	15

კვლევისას გამოჩნდა, რომ საქართველოში კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკური მხარდაჭერის ინტენსივობა მნიშვნელოვნად იცვლებოდა ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიხედვით. ყოველივე ამაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ კონფლიქტის მოგვარებასა და მასში მონაწილე მხარეების მიმართ არსებულ აღქმებს. 90-იან წლებში, როცა, როგორც პოლიტიკურ წრეებში, ისე ზოგადად საზოგადოებაში არსებობდა კონფლიქტების მოკლე დროში მოგვარების გარკვეუ-

„ეუთოს სადამკვირვებლო მისია იდგა იქ (სამხრეთ ოსეთში – ავტ.) და ნუ, შეუძლებელი იყო ომი ისე გამოგპარვოდა, როგორც მაგათ გამოეპარათ, ამას მოხერხება უნდოდა. 21-ე საუკუნეა, ორი მხრიდან ჯავშანტიქნიკის გადაადგილება ხდება და თქვენ ვერ ხედავთ და თქვენ ვერ გრძნობთ საით მიდის საქმე? ომის შემდეგ სრულიად სანინალმდეგო მესიჯები გაჟღერდა, რომ აფრთხილებდა და ყურად არ იღეს. მაგრამ სად აფრთხილებდა ეს არ გამოჩენილა არსად“.

<sup>4</sup> აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აგრეთვე აღიარებული ჰქონდა ტუვალუს, მარტო აფხაზეთი ჰქონდა აღიარებული ვანუატუს. ორივე სახელმწიფომ გაიწვია საკუთარი აღიარებები.

<sup>5</sup> საქართველოში დევნილთა შესახებ გაეროს რეზოლუციის შარშანდელზე ერთით მეტმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი, [www.netgazeti.ge](http://www.netgazeti.ge)



ლი მოლოდინები, პოლიტიკური მხარდაჭერის ინსტრუმენტები არცთუ ისე ინტენსიურად იყო გამოყენებული. ამასთანავე, კონფლიქტებში მედიატორის სახით რუსეთის ჩართულობა თითქოს გარკვეულწილად „ანიეტრალეზა“ საერთაშორისო პოლიტიკური მხარდაჭერის საჭიროებას. თუმცა სწორედ ამ დროს შემოვიდა საქართველოში ეუთოს (სამხრეთ ოსეთის მიმართულებით)<sup>6</sup> და გაეროს (აფხაზეთის მიმართულებით)<sup>7</sup> მისიები. მიუხედავად იმისა, რომ მათი ეფექტიანობა ექსპერტებს შორის სადავო საგნად რჩება, უდავოა მათი საქართველოში ყოფნის პოლიტიკური ასპექტები. ამ ორივე მისიის საქართველოს ტერიტორიაზე არსებობა საქართველოს კონფლიქტების მიმართ გაეროს და ეუთოს, და, შესაბამისად, საერთაშორისო ყურადღებისა და ინტერესის ინდიკატორი იყო. ეუთოს ჩართულობა იმიტაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ სწორედ ეს ორგანიზაცია განიხილებოდა ევროპის უსაფრთხოების ერთ-ერთ პოტენციურად მთავარ მექანიზმად, რადგან წარმოადგენდა ერთადერთ რეგიონალურ ორგანიზაციას, სადაც ევროპის ქვეყნებთან ერთად მონაწილეობდა რუსეთიც.

კვლევაში მონაწილეთა აზრით, 2003 წლიდან დგება საერთაშორისო მხარდაჭერის ერთგვარად ახალი ეტაპი. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით გაჩენილი მაღალი მოლოდინების ფონზე იმჟამინდელმა მთავრობამ კარგად დაინახა საერთაშორისო პოლიტიკური მხარდაჭერის საჭიროება. საქართველოს, საბჭოთა კავშირის ყოფილ წევრებს შორის დემოკრატიული ტრანსფორმაციის მაგალითად ქცევის პარალელურად ამ სივრცეში კონფლიქტების წარმატებით მოგვარების პრეცედენტის შექმნა, მნიშვნელოვან ასპექტად იქცა, როგორც ქვეყნის ხელისუფლების, ისე იმ სახელმწიფოებისთვისაც, რომლებიც ამ პროცესის ძირითადი მხარდამჭერები იყვნენ. შესაბამისად, ამ პერიოდიდან იწყება, როგორც საქართველოს მხარდამჭერი განცხადებებისა და რეზოლუციების ინტენსიფიკაცია, ისე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ამ მხარდაჭერის ხაზგასმა ქართული საზოგადოებისთვის კონფლიქტების მოგვარების კუთხით წარმატების სადემონსტრაციოდ. ამავე პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საჯაროდ დაფიქსირებული მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, ვინაიდან ქვეყნის დასავლური ორიენტაციის გაძლიერებისა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გარკვეული პერსპექტივების გაჩენის პარალელურად ქვეყანაში სხვადასხვა გზებით აქტიურდება რუსული ნარატივი იმის შესახებ, რომ ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია კონფლიქტური რეგიონების დათმობის ხარჯზე მოხდება. დასავლელი პოლიტიკოსების გამოსვლებში ამ ნარატივის ხაზგასმით უარყოფაც საქართველოსთვის აღმოჩენილი პოლიტიკური მხარდაჭერის კიდევ ერთი მაგალითია.

2008-2009 წლებში, აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის ძალისხმევით ჯერ ეუთოს, ხოლო შემდეგ გაეროს მისიებმა დატოვეს საქართველო, თუმცა ადგილზე გამოჩნდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია – EUMM.<sup>8</sup> ამ მისიის ეფექტიანობის საკითხი მის წინამორბედებზე მეტად ბადებს კითხვებს, თუმცა აქაც უტყუარია მისი, როგორც პო-

<sup>6</sup> ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისია საქართველოში 1992 წლის ნოემბერში დაარსდა და 2008 წლის 31 დეკემბრამდე იარსება. მის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა, დახმარება გაენია საქართველოს მთავრობისთვის კონფლიქტების მოგვარების, დემოკრატიზაციის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის საკითხებში. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: [www.osce.org/georgia-closed](http://www.osce.org/georgia-closed)

<sup>7</sup> UNOMIG – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისია საქართველოში გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით შეიქმნა და საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა 2009 წლის ივნისამდე. მის მთავარ მანდატს 1994 წლის მაისის მოსკოვის შეთანხმების პირობების შესრულების მონიტორინგი წარმოადგენდა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: [www.un.org/en/peacekeeping/missions/past/unomig/mandate](http://www.un.org/en/peacekeeping/missions/past/unomig/mandate)

<sup>8</sup> ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) – 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა. მისიაში 200-მდე დამკვირვებელი მუშაობს ევროკავშირის სხვადასხვა წევრი ქვეყნიდან. სათავე ოფისი თბილისში მდებარეობს, ხოლო რეგიონალური ოფისები – გორში, მცხეთასა და ზუგდიდში. მისი მთავარი ამოცანებია: საომარი მოქმედებების განახლების თავიდან აცილების უზრუნველყოფა; აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო და ნორმალური საცხოვრებელი პირობების აღდგენის ხელშეწყობა; კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენა; საქართველოსა და რეგიონის შესახებ ევროპული პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურების ინფორმირება. საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ოფიციალური ვებგვერდი: [www.eumm.eu](http://www.eumm.eu)

ლიტიკური მხარდაჭერის მექანიზმის არსებობის მნიშვნელობა. -ის საქართველოში ყოფნის ერთ-ერთი მთავარი გზავნილი სწორედ ევროკავშირის მიერ საქართველოსადმი არსებული მხარდაჭერის დემონსტრირებაა. ამასთანავე, მისი ჩართულობა საქართველოს კონფლიქტებისთვის ევროპული კონტექსტის გაძლიერებასაც უწყობს ხელს, რაც არა მარტო კონფლიქტების ტრანსფორმაციის, არამედ ზოგადად ქვეყნის პროდასავლური დისკურსის გაძლიერებისთვისაა საჭირო.

ინტერვიუებმა, ისევე როგორც ფოკუსჯგუფმა, ცხადყო, რომ ყენევის მოლაპარაკებები,<sup>9</sup> მიუხედავად იმისა, რომ მას მონაწილე მხარეები განსხვავებულად აღიქვამენ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მხარდაჭერის მექანიზმია.<sup>10</sup> მის ეფექტიანობასთან დაკავშირებით არაერთი კითხვა არსებობს, თუმცა მისი არსებობა საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების მიმართ საერთაშორისო მხარდაჭერის კიდევ ერთი დემონსტრირებაა.

საქართველოში კონფლიქტების ტრანსფორმაციის კუთხით აქტიურად მუშაობენ საერთაშორისო ორგანიზაციები თუ სხვადასხვა სახელმწიფოების საელჩოები. რესპონდენტების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებულთა შორის არიან ევროპის საბჭო, USAID, SIDA, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ოფისი, გაეროს განვითარების პროგრამა, ბრიტანეთის საელჩო, შვეიცარიის საელჩო და ა.შ., რაც ამ ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებში არსებული პოლიტიკური მხარდაჭერის პირდაპირი ინდიკატორებია. ის სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადი პოლიტიკური მხარდაჭერები არიან, ასევე მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერასაც გამოყოფენ საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის.

კვლევაში მონაწილეთა აზრით, საერთაშორისო პოლიტიკური მხარდაჭერა კვლავ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საქართველოში კონფლიქტების ტრანსფორმაციის საკითხში. ამავდროულად, ფოკუსჯგუფში გამოითქვა მოსაზრებაც, რომ საქართველოს სახელმწიფო არ არის მზად, საკუთარ თავზე აიღოს ის ფუნქციები, რომლებსაც ამჟამად საერთაშორისო აქტორები ასრულებენ, იქნება ეს ფინანსური მხარდაჭერა თუ მეორე მხარესთან საუბარი. ამავდროულად, მათი აზრით, საქართველოსა და მისი კონფლიქტების მიმართ საერთაშორისო ყურადღება კლებულობს, რაც ძირითადად მსოფლიოში მიმდინარე სხვა „ცხელი“ (უკრაინა, სირია, მიგრანტთა კრიზისი, ბრექსითი, ე.წ ისლამური სახელმწიფო) ამბებიტაა გამოწვეული. ამან კი შეიძლება საქართველოს მოწინააღმდეგეებს გაუჩინოს საშუალება, რომ საერთაშორისო საზოგადების ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანა თბილისის მიერ საერთაშორისო პოლიტიკური მხარდაჭერის დაკარგვად წარმოაჩინონ. ასეთ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოში არსებული რესურსის მობილიზება და მუშაობის გააქტიურება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიო წამყვანი სახელმწიფოების დღის წესრიგში საქართველოს საკითხის შესანარჩუნებლად.

„პოლიტიკური მხარდაჭერა და მედიაცია არის მთავარი მხარდაჭერა, რომელიც მოდის საერთაშორისო საზოგადოებიდან“.

<sup>9</sup> ყენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა. მისი თანათავმჯდომარეები არიან გაერო, ეუთო და ევროკავშირი. მასში, 2008 წლის კონფლიქტის მხარეების, საქართველოსა და რუსეთის გარდა, ასევე მონაწილეობენ საქართველოს კონფლიქტური რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები. მასში ასევე მონაწილეობს ამერიკის შეერთებული შტატები. ფორმატით გათვალისწინებულია უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ საკითხებთან დაკავშირებული ჯგუფების მუშაობა. შეხვედრები იმართება წელიწადში 4-ჯერ.

<sup>10</sup> საქართველოსთვის ყენევის საერთაშორისო დისკუსიები რუსეთთან მოლაპარაკებების ფორმატია. ცხინვალის და სოხუმი კი მას თბილისთან დიალოგის ფორმატად აღიქვამენ.

„რისი მიღწევა შევძელით და, ალბათ, მეორე მხარესთან კონტაქტების შენარჩუნების. ხშირად გვითქვამს ხოლმე, რალაც განათლება მიგვიღია, გამოცდილებაც, მაგრამ მთავარი, რაც რჩება, ეს არის კონტაქტები.“

\*\*\*

„ამ პროცესში ქართულმა მხარემ გაცილებით უფრო მეტი მეტამორფოზა, თუ გინდა პროგრესი, განიცადა ვიდრე აფხაზურმა მხარემ... რალაცა ტაბუები, რა თქმა უნდა, ქართულ საზოგადებაში იმაში გაცილებით უფრო ადვილად და მარტივად მოიხსნა... რა თქმა უნდა, საერთაშორისო მხარდაჭერის წვლილი ამაში იყო.“

\*\*\*

„მთავარი მიღწევა ჩემთვის მაინც შიდა ქართული სიტუაცია, ანუ საქართველოს დემოკრატიზაციაა. ქართული დემოკრატია შემდეგ დიდ გავლენას მოახდენს მთელ კავკასიაზე, მათ შორის აფხაზეზსა და ოსებზე.“

ტი. ეს კი, როგორც მშვიდობის მშენებლობის მნიშვნელოვანი ასპექტი, კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის აუცილებელი პირობაა. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება ნაკლებადაა აღქმული, როგორც კონფლიქტებზე ზემოქმედების მექანიზმი, მონაწილეების მიერ საერთაშორისო მხარდაჭერით მიღწეულ ძირითად წარმატებად დასახელებული „მეორე მხარესთან კონტაქტების დამყარება“ და „საქართველოში კონფლიქტების საკითხებისადმი დამოკიდებულებების ცვლა“ სწორედ მსგავსი მხარდაჭერის შედეგია.

„მე ვფიქრობ, რომ ქართულ-აფხაზური კონტაქტების აღდგენა ომის შემდეგ არასამთავრობო დონეზე, პირდაპირი დამსახურება არის უცხოური ორგანიზაციების. იმიტომ, რომ მე არ ვიცი სხვანაირ ფორმატში. ანუ, მოედანს ვინ შექმნიდა, მე არ ვიცი. ამიტომ ეს, რა თქმა უნდა, იყო მათი სერიოზული დამსახურება.“

ბი, განსაკუთრებით ქართულ-ოსური კონფლიქტი, მარტივი და მოკლე დროში მოგვარებადი იქნებოდა, არასამთავრობო სექტორისა და ცალკეული ადამიანებისთვის აღმოჩენილი საერთაშორისო მხარდაჭერა გახდა მომდევნო წლებში სამოქალაქო დიპლომატიის პროცესების ჩამოყალიბების საწინდარი. დიალოგის ამ პროცესების მეშვეობით ჩამოყალიბებული ურთიერთობებით გახდა შესაძლებელი იმ მცირე წარმატებების მიღწევა, რომელიც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ტრანსფორმაციაში არსებობს. კონფლიქტის ძალადობრივი ფაზის დასრულების შემდეგ პირველი შეხვედრები ქართველებსა და აფხაზებს, ისევე როგორც ქართველებსა და ოსებს შორის სწორედ საერთაშორისო მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.<sup>11</sup> თუმცა მსგავს შემთხვევებში საერ-

## არასამთავრობო სექტორისათვის აღმოჩენილი მხარდაჭერა

საქართველოში კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართ არსებული პოლიტიკური მხარდაჭერის პირდაპირი გაგრძელებაა არასამთავრობო სექტორისათვის აღმოჩენილი მხარდაჭერა. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარება სწორედ დასავლეთის ქვეყნების მიერ გაწეული ფინანსური მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი. სწორედ საერთაშორისო აქტორების მიერ გაწეული შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა გახდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იმ მცირედი წარმატებისა, რაც კონფლიქტების ტრანსფორმაციის კუთხით არსებობს. ამავე კუთხით აღმოჩენილი დახმარება გახდა საქართველოში, სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით უფრო მდგრადი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნის ქმედითი ინსტრუმენ-

## სამოქალაქო დიალოგების ფორმატები

ის, რომ წლების განმავლობაში საქართველოში კონფლიქტების ტრანსფორმაცია არასამთავრობო სექტორისათვის იყო „დათმობილი“, ამ კონტექსტს სპეციფიკურ ხასიათს სძენს. მაგალითად, 90-იან წლებში, როცა ოფიციალური პირების მხრიდან საზოგადოებაში იქმნებოდა განწყობა, რომ კონფლიქტე-

<sup>11</sup> პირველ შეხვედრებში იგულისხმება პირველი შეხვედრები მხარეებს შორის, სადაც სხვა თემებთან ერთად განხილული იყო პოლიტიკური საკითხებიც.

თაშორისო აქტორები მარტო დამფინანსებლის როლში როდი გამოდიოდნენ. მათი ფუნქციები საკმაოდ ფართო იყო, ვინაიდან იმ პერიოდში შეხვედრის მხოლოდ ფინანსური მხარის ორგანიზება არ იყო საკმარისი. სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტების არარსებობის პირობებში სწორედ უცხოელი ექსპერტებისა და კონსულტანტების საშუალებით ხდებოდა ადგილზე რელიევანტური კადრების შერჩევა. ამასთანავე, სწორედ საერთაშორისო აქტორები უზრუნველყოფდნენ პროცესში კონფლიქტის სხვადასხვა მხარის წარმომადგენლების მონაწილეობას, რაც თბილისში, მეტწილად კი სოხუმსა და ცხინვალში გადაწყვეტილების მიმღებებთან საუბარს მოითხოვდა. მხარეებს შორის ნდობის არარსებობის პირობებში სწორედ ისინი გამოდიოდნენ მედიატორის როლშიც.

კვლევისას გამოიკვეთა საინტერესო ფაქტორი – წლების მანძილზე საერთაშორისო აქტორების მიერ შეხვედრებში კონფლიქტის მხარის წარმომადგენლების მონაწილეობის უზრუნველყოფის როლი საკმაოდ შემცირდა. იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც ამ თემებზე მუშაობა უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე დაიწყეს, დიალოგის შეხვედრის ჩასატარებლად საერთაშორისო მხარდაჭერის მხოლოდ ფინანსურ ასპექტს საჭიროებენ. ეს კი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ადგილებზე პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილების, ისე უდავოდ საერთაშორისო მხარდაჭერის მიღწევად. წლების განმავლობაში მათ მიერ განხორციელებულმა პროექტებმა მიიყვანა საზოგადოებები იმ წერტილში, როცა მსგავსი შეხვედრის ჩატარებისთვის ისე მწვავედ აღარ დგას ადგილზე პოლიტიკური ფასილიტაციის აუცილებლობა. ამასთანავე, არასამთავრობო სექტორის მხარდაჭერა/განვითარებაში ჩადებული რესურსებით კონფლიქტების ორივე მხარეს შეიქმნა მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსები, რომელთაც ერთმანეთის მიმართ გარკვეული ნდობა გააჩნიათ და მზად არიან სხვადასხვა საკითხებზე სალაპარაკოდ.

რესპონდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოში კონფლიქტების მოგვარების მიმართ შეცვლილი დამოკიდებულება ასევე აისახა ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაზე. სახელმწიფოს კონფლიქტების მიმართ დაგეგმილმა, სისტემურმა მიდგომამ, რომელიც 2003 წელს ხელისუფლების სათავეში „ახალგაზრდა რეფორმატორი“ მთავრობის მოსვლას მოჰყვა, მარტივად მოიპოვა საერთაშორისო მხარდაჭერა. უფრო მეტიც, საქართველოს მიერ იმ პერიოდში შემოთავაზებულმა ნარატივმა, რომ არ არსებობს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები და არსებობს მხოლოდ დიდი ქართულ-რუსული კონფლიქტი, საკმაოდ მარტივად დაიმკვიდრა ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე. ყოველივე ამან შეასუსტა სამოქალაქო დიალოგის პროექტების გაგრძელება/შენარჩუნების მოტივაცია. მათ კი, ვინც ამ პერიოდში მსგავსი იდეების მხარდამჭერებად დარჩა, საკმაოდ შეეზღუდათ, როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსები. მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი პროცესიც კი, როგორიც იყო „შლაინინგის პროცესი,“ რომელზეც რესპონდენტთა სრულმა უმრავლესობამ ისაუბრა და ერთგვარ საეტაპო მოვლენადაც ითვლება საქართველოში კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში, სწორედ ამ პერიოდში შეწყდა.

კვლევამ აგრეთვე ცხადყო, რომ პოლიტიკური პროცესები და ნარატივის ცვლა არ იყო ერთადერთი წინააღობა, რომელიც ხელს უშლიდა დიალოგის პროცესებსა და საზოგადოებებს შორის ურთიერთობის აღდგენას. ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამონკვევას კონფლიქტის მხარეების წარმომადგენელი მონაწილეების საკითხი წარმოადგენდა. ქართულ მხარეზე მსგავს პროცესებში მონაწილეთა პოვნა აფხაზურ და ოსურ მხარეებთან შედარებით, საზოგადოების მიერ უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, მაინც შესაძლებელი იყო. აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში მსგავს პროცესებში მონაწილეების სპექტრი შეზღუდული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს პროცესებში მონაწილეობა კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრეთათვის ხშირ შემთხვევაში საზღვარგარეთ მოხვედრის, სამგზავრო საბუთის და დასავლური სახელმწიფოს ვიზის მიღების ერთ-ერთ ყველაზე რეალურ გზას წარმოადგენდა, არ გამოირჩეოდა მონაწილეთა რიგებში შესამჩნევი დი-

„სოხუმში (სამოქალაქო დიალოგის ფორმატების შეხვედრებზე დასწრება. ავტ.) მონოპოლიზებული იყო ფაქტობრივად ერთი ჯგუფის მიერ. პერიოდულად შეიძლება ვილაცა გამოჩნდებოდა და მერე გაქრებოდა, როგორც წესი. ნუ ახლა გასაგებია, იმიტომ, რომ იქაც იყო პარტნიორი ორგანიზაცია ან ორგანიზაციები, რომლებიც თავისი ხეირისთვის იყენებდნენ, ასე ვთქვათ. და ეს რას ნიშნავდა: წელიწადში რამდენჯერმე სადღაც გასვლას ნიშნავდა, ეს ჰონორარებს ნიშნავდა და სულაც არ იყვნენ მზად, რომ ვილაც შემოეყვანათ წილში. მე ვფიქრობ, რომ აფხაზეთიდან ამან, ერთგვარად დააბრკოლა პროცესი.“

ის დამფინანსებლები და/ან ორგანიზატორი საერთაშორისო ორგანიზაციები მოექცნენ ოსი, განსაკუთრებით კი აფხაზი მონაწილეების „შანტაჟის“ ქვეშ. კერძოდ, შეიქმნა განცდა, რომ საერთაშორისო აქტორები შეხვედრაში აფხაზებისა და ოსების მონაწილეობის სანაცვლოდ ეგუებოდნენ მათ მიერ შეხვედრის თემების გარკვეულ „მონოპოლიზაციას“. ქართულ მხარეში არსებული შედარებით მდიდარი ადამიანური რესურსის ფონზე, ქართველ მონაწილეთა ჩანაცვლება ადვილ პროცესად აღიქმებოდა, ხოლო შეხვედრების ჩატარება/ჩაშლის საკითხი კი კონფლიქტური რეგიონებიდან მონაწილეთა ჩამოსვლაზე იყო დამოკიდებული.

აღსანიშნავია, რომ, ყველაფრის მიუხედავად, სწორედ მსგავსი პროექტების ფარგლებში მეორე მხარესთან ურთიერთობების აღდგენა/დამყარება აღიქმება კონფლიქტებზე მომუშავე აქტორების მიერ 23-წლიანი საერთაშორისო მხარდაჭერის ძირითად მიღწევად.

„ომის მერე ესენი (საერთაშორისო ორგანიზაციები ავტ.) აკეთებდნენ საკოორდინაციო შეხვედრებს. საკოორდინაციო შეხვედრას აკეთებდა საერთაშორისო ორგანიზაციები, ვინც ჩამოვიდა, ვინც გამოთქვა სურვილი, რომ, დიახ, ჩვენ მივიღებთ რეაბილიტაციის პროცესში მონაწილეობას და რომ არ გადაეფარათ ერთმანეთის საქმიანობები, გააკეთეს საკოორდინაციო საბჭო. მე ამას ვაკეთებ, შენ ეს გააკეთე, შენ ეს, შენ ის. ისინი თვითონ ინაწილებდნენ და სახელმწიფოს წარმომადგენელი ესწრებოდა უბრალოდ, რომ ისიც საქმის კურსში ყოფილიყო. მას იქ არ მიყავდა სიტუაცია. სიტუაცია იქ სხვა ორგანიზაციებს მიყავდათ, საერთაშორისო ორგანიზაციებს მიყავდათ. ესეც არის ძალიან კარგი მაგალითი. ეს, ვთქვათ, ერთი წელი იმუშავა, ორი წელი იმუშავა, სამი და შემდეგ, თანდათან დაიწყეს ორგანიზაციებმა აქედან გასვლა იმიტომ, რომ რაღაც საჭიროებები აღარ იყო, ვთქვათ, ეს პირველი ჰუმანიტარული დახმარება საკვებზე და რაღაცეები აღარ იყო საჭირო. და გავიდნენ, გავიდნენ, გავიდნენ. ძალიან ბევრი გავიდა და, მე მგონი, ერთია დარჩენილი თუ ორი იმ ორგანიზაციებიდან, რაც მაშინ იყო.“

ვერსიფიკაციით. ერთი მხრივ, ეს პროცესები სოხუმსა და ცხინვალში მოექცა ადგილობრივი ელიტის ხელში, რომელმაც საკუთარი „ელიტურობის სტატუსი“ ამით კიდევ უფრო გაიმყარა, მეორე მხრივ კი ქართულ მხარეში თანდათან სამოქალაქო დიალოგების პროცესების მიმართ გარკვეული იმედგაცურება გააჩინა. აფხაზური და ოსური მხრიდან ერთი და იმავე ადამიანების ე.წ. „usual suspect“-ების მონაწილეობამ და მათგან სიახლეების მიღების ნაკლებობამ ქართულ მხარეში გააძლიერა განწყობა, რომ მსგავსი შეხვედრები არც არაფრის მომცემია და, ამასთანავე, საფუძველი ჩაუყარა განცდას, რომ ამ პროცესებ-

**პიროვნებების როლი საერთაშორისო მხარდაჭერაში**

საერთაშორისო მხარდაჭერის ადამიანური თუ პოლიტიკური რესურსები საქართველოში არსებული კონფლიქტების ისტორიის მანძილზე მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. კვლევის მონაწილეების აზრით, კონფლიქტების აქტიური, „ცხელი“ ფაზის და მას მერე მოკლევადიან პერიოდში საერთაშორისო მხარდაჭერა, როგორც სამთავრობო ისე არასამთავრობო სექტორისადმი ბევრად უფრო მობილიზებული და პროაქტიური იყო. შესაბამისად, დასავლური სახელმწიფოებიდან თუ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან საქართველოში კონფლიქტებზე სამუშაოდ მოვლენილი ადამიანებიც უფრო მონდობილი და „ძლიერი“ პროფესიონალები იყვნენ. კონფლიქტის ესკალაციის პირობებში უფრო მაღალი იყო კოორდინაცია, როგორც სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს შორის, ისევე როგორც მათსა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის.

კონფლიქტების ხანგრძლივად „გაყინვის“ დროს მათ მიმართ ინტერესი მნიშვნელოვნად კლებულობდა, ისევე, როგორც ადგილზე მოვლენილი ადამიანების მსგავს საკითხზე მუშაობის გამოცდილება, მონდომება და ენთუზიაზმი, რაც, ბუნებრივია, თავის კვალს აჩენდა კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესს. ამან კი, თავის მხრივ, ადგილზე იმ განცდის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რომ საერთაშორისო მხარდაჭერის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტების შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილება და არა მათი მოგვარება.

რესპონდენტები წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოში კონფლიქტებზე მუშაობისას ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო პიროვნებების როლი. პროექტის დაფინანსების მიღება გარკვეული ინსტიტუციური მექანიზმებით ხდება, თუმცა პირადი ურთიერთობები, როგორც რიგი საკითხების მარტივად მოგვარებას, ასევე ახალი შესაძლებლობის გაჩენას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა/განვითარდა ინსტიტუტები, არასამთავრობო სექტორი და ა.შ. ვერ მოხდა მათსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის ინსტიტუციური გზების განვითარება. ბიუროკრატიული პროცედურების გვერდის ავლით, პირადი სატელეფონო ზარის საშუალებით გარკვეული პრობლემების გადაჭრა კვლავ რჩება ბევრისთვის კომუნიკაციის უპირატეს ფორმად.

აღსანიშნავია, რომ პირადი ურთიერთობები და განწყობები მნიშვნელოვანი პოლიტიკური ასპექტების მატარებელიცაა. საერთაშორისო ორგანიზაციების, მისიებისა თუ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების ან მათი ოჯახის წევრების მხრიდან ამა თუ იმ კონფლიქტის მხარის მიმართ გამოხატულ სიმპათიებს ეჭვქვეშ დაუყენებია საერთაშორისო მხარდაჭერის გულწრფელობა და ეფექტიანობა.

„ძალიან დიდი როლი ითამაშა, პირველ წლებში, არა მხოლოდ ორგანიზაციებმა, არამედ პიროვნებებმა, რომლებიც იყვნენ ჩართული ორგანიზაციებში. ნებისმიერი ორგანიზაციის მანდატი შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვანაირად და ეს არის ძალიან დამოკიდებული ადამიანზე, რომელიც ამას ახორციელებს. მე შემიძლია შევადარო (ისინი, ვინც ადრე იყო ავტ.) მათ, ვინც მერე ჩამოვიდა. უკაცრავად და იმავე ხელფასით და იგივე თანამდებობაზე არაფერს არ აკეთებდნენ, აბსოლუტურად, იმის გარდა რაც მანდატში ეწერათ. დღემდე, თქვენ რომ გაიაროთ და იკითხოთ, თემებში რა ორგანიზაციები მუშაობენ მათთან, ძალიან იშვიათად დაგისახელებენ ორგანიზაციას. ასახელებენ პიროვნებებს.“

## ნაწილი II – არსებული პრობლემები

საქართველოში კონფლიქტების ტრანსფორმაციის მცდელობების 23-წლიანი ისტორიის მანძილზე მნიშვნელოვანი გარღვევების ნაკლებობა ცხადყოფს ამ სფეროში პრობლემების არსებობას. კვლევაში მონაწილეების აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა სფეროში ახალი იდეების ნაკლებობაა. ადგილზე ჩამოყალიბდა განწყობა, რომ კონფლიქტებზე მუშაობა ერთ გარკვეულ წრეში ჩაიკეტა, რომელიც, თავის მხრივ, აფერხებს პროგრესს.

### „ჩაკეტილი წრე“

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტებზე მომუშავე თემი საქართველოში ყოველთვის პატარა იყო, უკანასკნელი წლების განმავლობაში მისი კიდევ უფრო შემცირება შეინიშნება. ეს რამდენიმე მიზეზით იხსნება:

- კონფლიქტების სფერო აღარ წარმოადგენს საზოგადოების უმთავრესი ინტერესის საგანს;

- საერთაშორისო დონორებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის ჩამოყალიბდა გარკვეული ურთიერთობები, რომლებიც სფეროში ახალი ორგანიზაციების, ადამიანებისა და, შესაბამისად, ახალი იდეების გამოჩენას ზღუდავს;
- ადგილობრივი თუ საერთაშორისო ბიუროკრატია ხელს უშლის ახალი, შედარებით გამოუცდელი სახეების გამოჩენას.

ეროვნულ ინტერესთა ჩამონათვალთან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დამსახურებლთა პროცენტული რაოდენობა წლების მიხედვით.

წყარო: NDI საზოგადოებრივი აზრის კვლევა.  
(კვლევის მონაწილეს შეეძლო აერჩია რამდენიმე პასუხი).

კვლევის თარიღი	პროცენტი	რიგითობა
ნოემბერი, 2016	27%	4
ივნისი, 2016	28%	3
მარტი, 2016	23%	5
დეკემბერი, 2015	29%	3
აპრილი, 2015	27%	4
აგვისტო, 2014	30%	3
აპრილი, 2014	37%	2
ნოემბერი, 2013	39%	2
სექტემბერი, 2013	34%	2
ნოემბერი, 2012	29%	3
ივნისი, 2012	33%	2
თებერვალი, 2012	36%	2
მარტი, 2011	38%	3
ივლისი, 2010	45%	2
აპრილი, 2010	47%	2
დეკემბერი, 2009	49%	X
მაისი, 2009	49%	X

უკანასკნელი წლების საზოგადოებრივი აზრის კვლევები აჩვენებს<sup>12</sup>, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კვლავ რჩება მოსახლეობის მიერ დასახელებული პრიორიტეტების ხუთეულში, ის პირველი ადგილიდან ნელ-ნელა ბოლოსკენ ინაცვლებს. ამას მრავალი მიზეზი აქვს, თუმცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს კონფლიქტების მოგვარების მიმართ გაჩენილი იმედგაცრუება წარმოადგენს. თუ საქართველოში კონფლიქტების განვითარების ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე არსებობდა მოლოდინი, რომ კონფლიქტი მარტივად ან სხვისი დახმარებით მოგვარდებოდა, საზოგადოებაში თანდათან გაჩნდა განწყობა, რომ ამ საკითხების მოგვარება ან ძალიან შორეულ პერსპექტივაში მიღწევადი, ან სართოდაც შეუძლებელია. ამასთანავე, კონფლიქტები/ტერიტორიული მთლიანობის საკითხი აღარ არის ეროვნული კონსოლიდაციის წამყვანი თემა. ის უკვე რამდენიმე წელია, ჩაანაცვლა ევროატლანტიკურმა ინტეგრაციამ. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტების თემაზე გაკეთებული განცხადებები არ კარგავს აქტუალურობას, უშუალოდ ამ საკითხებზე მუშაობის მსურველთა რიცხვი თანდათან უფრო მცირდება.

ამასთანავე, როგორც ორგანიზაციები, ისე ცალკეული ადამიანები ნაკლებად არიან დაინტერესებული იმუშაონ იმ სფეროში, რომელშიც ხელშესახები შედეგები ძნელად მიიღწევა. კვლევის მონაწილეთა აზრით, ამ მიმართულებაში ახალი სახეების გაჩენა ძირითადად საერთაშორისო მხარდაჭერის დამსახურებაა. ამ სფეროში მომუშავე ახალი, მცირე მასა ძირითადად საერთაშორისო მხარდაჭერით განხორციელებული ახალგაზრდული თუ სხვადასხვა სამოქალაქო დიალოგის ფორმატში მონაწილე ადამიანებისგან შედგება.

კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე მუშაობის სფეროს გარკვეული „ჩაკეტვა“ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და ბენეფიციარების ურთიერთობის არსებული

<sup>12</sup> მაგალითად, 2016 წლის გაზაფხულზე ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევაში მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხების ჩამონათვალში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მე-5 ადგილზეა (23%), სამუშაო ადგილების (57%), ფასების ზრდის(35%), სიღარიბისა(30%) და პენსიების (26%) შემდეგ. 2014 წლის გაზაფხულზე ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მეორე ადგილს იკავებდა (37%) და მას მხოლოდ სამუშაო ადგილების პრობლემა (61%) უსწრებდა. 2011 წელს ის მესამე ადგილს იკავებდა (38%). 2009 წლის შემდეგ ტოპ ხუთეულში მუდმივად ერთი და იგივე საკითხები ხვდება, თუმცა მათი თანმიმდევრობა იცვლება. კვლევის შედეგების ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე: [www.ndi.org/georgia-polls](http://www.ndi.org/georgia-polls)

